ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

N 3586/01
05/04/2019

3586-01-2-201904051528

შპს „ენერგოტრანსს"

მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2

თქვენს მიერ 2019 წლის 12 თებერვალს (N2045 წერილი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ, „500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა"-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (სოფ. ჭართალთან დაახლოებით 4,1 კმ სიგრძის მონაკვეთის ცვლილება) პროექტთან" დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აღნიშნულ დოკუმენტში გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რაც საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: პროექტის ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ანძების ნუმერაცია და რაოდენობა; ინფორმაცია ზემოქმედებას/ჭრას დაქვემდებარებულ ხე-მცენარეებთან დაკავშირებით სახეობების და რაოდენობის მითითებით, ზემოქმედება წიფლის ჰაბიტატებზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე შენიშვნები გამოითქვა ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლის მიერ. აღნიშნულის გარდა ასოციაციის მიერ პროექტთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა წერილობითი შენიშვნები.

გიგზავნით არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას" მიერ მოწოდებულ შენიშვნებს.

გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული შენიშვნები და უმოკლეს ვადაში გვაცნობოთ წერილში გამოთქმულ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

ნინო თანდილაშვილი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

მინისტრის მოადგილე